



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის  
აქტი

№ 15/00

„ 13 „ ივნისი 2011

ქ. თბილისი

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”  
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
ალექსანდრე არაყიშვილი

„ 13 „ ივნისი 2011 წელი  
გვ. N2

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
2010 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი  
(01.01.10-01.01.11)

## სარჩევი

|                                                                                                                                                                                                      |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                                                                                                                                                       | 3  |
| შემოკლებანი.....                                                                                                                                                                                     | 3  |
| საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....                                                                                                                                                                     | 3  |
| წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა.....                                                                                               | 3  |
| აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები .....                                                                                                                                                                 | 4  |
| ძირითადი ტექსტი .....                                                                                                                                                                                | 6  |
| 1. საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება..... | 6  |
| 2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა .....                                                                                                                                                 | 9  |
| 3. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო - სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობათა დაცვის მდგომარეობა.....                                                                          | 14 |
| 4. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა .....                                                                                                                                   | 16 |
| 5. სახელმწიფო ვალის ფორმირებისა და მართვის მდგომარეობა.....                                                                                                                                          | 21 |
| დანართები.....                                                                                                                                                                                       | 29 |

## შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 14 თებერვლის № 9/43 და 2011 წლის 6 აპრილის 29/43 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, 0144. გორგასლის ქ. №16. ტელ: (+995 32) 26 15 14/16/20

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი: ფრიდონ დონაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი),

აუდიტორები: თამარ ბროლაძე, ნინო ამირანაშვილი, პაპუნა ხოფერია, აუდიტორ - სტაჟიორი ნანა ვაჩაძე და აუდიტორ - ასისტენტი გიორგი მეტრეველი;

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე

აუდიტის ჩატარების ვადა - 17/02/2011 – 22/04/2011 (დაწყება-დამთავრება)

## შემოკლებანი

ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ხაზინა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტი;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სგპ - საბაჟო გამშვები პუნქტი;

სდს - დახურული სააქციო საზოგადოება

## საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

## წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

წინა აუდიტი მოიცავდა 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდს, რომლის დროსაც გამოვლინდა შემდეგი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ არ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები და ასევე, არ არსებობდა საქმისწარმოების პროცედურები, რამაც განაპირობა საწყობში არსებული მატერიალური მარაგების

დანაკლისი 146.6 ათასი ლარის ოდენობით და ზედმეტობა 54.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ საკითხზე სამინისტროს მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად დარღვევები აღმოფხვრილია;

2. შემოსავლების სამსახურისთვის აშენებული ქობულეთის მომსახურების სერვის ცენტრი, ასევე „გუგუთის“ და „ნინოწმინდის“ საბაჟო გამშვები პუნქტები ირიცხებოდა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ობიექტები 2010 წელს გადაეცა შემოსავლების სამსახურს;
3. სახელმწიფო საშინაო ვალის არსებობიდან გამომდინარე სახაზინო სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტს არ გააჩნდა სახელმწიფო საშინაო ვალის თითოეული კატეგორიის მიმართ ანაზღაურების მექანიზმი - საკითხი კვლავ დასარეგულირებელია;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოებისა და სახელმწიფო გარანტიების რეესტრის წარმოების შესახებ დებულება (დებულება დამტკიცებული იქნა 2011 წლის თებერვალში). დებულების არ არსებობიდან გამომდინარე, 2010 წელს სახაზინო სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი სახელმწიფო ვალების რეესტრს კვლავ საკუთარი შეხედულებისამებრ აწარმოებდა;
5. სამინისტროში ადგილი ჰქონდა წინა წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო საგარეო საკრედიტო რესურსებიდან გაცემული სესხებიდან (გადასესხება) დავალიანებების არსებობას. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტროს სასესხო დავალიანების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად უნდა მიეღო ყველა აუცილებელი ზომა, თუმცა არ გააჩნდა მოვალე სუბიექტების საბანკო ანგარიშებიდან სახსრების უპირობო ჩამოწერის მექანიზმი და სამინისტრო დავალიანებების დასაფარავად მიმართავდა სასამართლოებს - საკითხი კვლავ დასარეგულირებელია.

### აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საბიუჯეტო განაცხადით, კადრების ზღვრული ოდენობის მოთხოვნა წარადგინა, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილებით განსაზღვრულზე 151 ერთეულით ზევით;
2. „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ ასიგნებები თანადაფინანსების ნაწილში, დაიგეგმა სსიპ „ფონდ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების ზევით: საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2009 წლის 29 დეკემბრის დამტკიცებულ საქართველოს კანონში 2,000.00 ათასი ლარის ზევით, ხოლო 2010 წლის 19 ნოემბრის დამტკიცებულ კანონში 1,340.00 ათასი ლარის ზევით;
3. „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ ასიგნებებიდან 1,252.00 ათასი ლარი გადატანილია ფინანსთა სამინისტროს (23 01 ორგანიზაციულ კოდში) შრომის ანაზღაურების მუხლში (ც.აპარატის, სახაზინო სამსახურის, გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პრემირებისათვის);

4. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების სპეციფიკურ პირობებით გათვალისწინებული მუხლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს;
5. სახელმწიფო პირობების მიმწოდებელი სუბიექტების მიერ სამუშაოების (მომსახურების) დასრულების ვადების დარღვევისათვის, წლის მანძილზე დარიცხულია პირგასამტეხლოები: ც.აპარატის მიერ - 490.9 ათასი ლარი, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ - 6.2 ათასი ლარი, რაც საჭიროებს საბუღალტრო „6430“ ანგარიშზე ასახვას;
6. ც.აპარატის მიერ საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმებში, არ არის ინფორმაცია სამინისტროს ორგანიზაციული კოდის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებში ფაქტიური საშტატო რიცხოვნების შესახებ, ასევე არ არის ინფორმაცია სსიპ „მომსახურების სააგენტოსა“ და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ წლის განმავლობაში მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ;
7. ც.აპარატს 2010 წლის ბოლოსათვის საბალანსო ანგარიშზე (2140) „დაუმთავრებელი მშენებლობა“ ერიცხებოდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ კუთვნილი ქ. ქუთაისში ჯავახიშვილის №5 –ში მდებარე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შენობა - 2,584.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, მაშინ როდესაც სამუშაოები დასრულებულია 2010 წლის 16 ნოემბერს (მიღება-ჩაბარების აქტი № 1614);
8. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 16 სექტემბერის #1-1/2091 ბრძანების თანახმად „შემოსავლების სამსახურის“ თელავის რეგიონალურ ცენტრს გადაეცა ლაგოდეხის რაიონის, სოფელ მაწიმში მდებარე შენობა-ნაგებობა (25.6 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით) და 16881 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ღირებულების გარეშე). „შემოსავლების სამსახურის“ რეორგანიზაციის შემდგომ 2010 წლის 22 თებერვალს ცენტრალური აპარატის ბალანსზე აღრიცხული იქნა 18138.78 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღირებულების გარეშე. 2010 წლის 10 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ზემოაღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზუსტებულმა ფართობმა შეადგინა 10600 კვ.მ, თუმცა სამსახურის ბალანსზე 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კვლავ ირიცხება 18138.78 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულების გარეშე);
9. სსიპ „შემოსავლების სამსახურში“ 2010 წელს არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია;
10. ცენტრალური აპარატისა და შემოსავლების სამსახურის ბალანსზე ირიცხება წინა წლებში წარმოშობილი გაურკვეველი დებიტორული დავალიანებები (ცენტრალურ აპარატში (1998 წლიდან 2007 წლამდე) - 204.16 ათასი ლარი, შემოსავლების სამსახურში (1996 წლიდან 2003 წლამდე) - 442.79 ათასი ლარი);
11. სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ბალანსზე რიცხული 2010 წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები (ც. აპარატის 148.0 ათასი ლარი, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 80.0 ათასი ლარი) დაუფარავია, იმ პირობებში, როდესაც წლის ბოლოსათვის გააჩნდათ აუთვისებელი ასიგნებები;
12. სახელმწიფო საშინაო ვალის 1,848,000.00 ათასი ლარის მოცულობის პირობებში სახაზინო

სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტს არ გააჩნია სახელმწიფო საშინაო ვალის თითოეული კატეგორიის მიმართ ანაზღაურების მექანიზმი;

13. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2010 წლის განმავლობაში არ იყო დამტკიცებული სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოებისა და სახელმწიფო გარანტიების რეესტრის წარმოების შესახებ დებულება (დებულება დამტკიცდა 2011 წლის თებერვალში), რაც იწვევდა ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ვალის რეესტრის საკუთარი შეხედულებისამებრ წარმოებას;
14. წინა წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო საგარეო საკრედიტო რესურსებიდან გაცემული სესხებიდან (გადასესხება) დავალიანებამ 2010 წლის ბოლოსათვის შეადგინა 154,034.05 ათასი ლარი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სამინისტროს სასესხო დავალიანების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად უნდა მიეღო ყველა აუცილებელი ზომა, სამინისტრო დავალიანებების დასაფარავად მიმართავდა სასამართლოებს;

## ძირითადი ტექსტი

1. საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ივნისის №108 დადგენილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა შესაბამისად 4,468 ერთეულითა და 110,000.0 ათასი ლარით.

*კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობა*  
(ათას ლარებში)

| მოთხოვნის<br>თარიღი | წერილის<br>№ | კადრების<br>რიცხოვნება<br>მთავრობის<br>დადგენილებით | სამინისტროს<br>მოთხოვნით | სხვაობა | ასიგნებების<br>ზღვრული<br>მოცულობები<br>დადგენილებით | სამინისტროს<br>მოთხოვნით | სხვაობა    |
|---------------------|--------------|-----------------------------------------------------|--------------------------|---------|------------------------------------------------------|--------------------------|------------|
| 14/08/2010          | 02_02/6302   | 4 468                                               | 4 468                    | 0       | 110,000.00                                           | 110,000.00               | 0          |
| 28/10/2010          | 02_02/8292   | 4 468                                               | 4 564                    | +96     | 110,000.00                                           | 103,393.50               | (6,606.50) |
| 13/11/2010          | 02_02/8697   | 4 468                                               | 4 619                    | +151    | 110,000.00                                           | 103,393.50               | (6,606.50) |

წარდგენილი მოთხოვნით შემცირებული იქნა ასიგნებების მოცულობა 6,606.50 ათასი ლარით (შემცირებულია ც/აპარატის, შემოსავლების სამსახურის, ხაზინის, გენერალური ინსპექციის, სსიპ „რისკების მართვის სააგენტოს“ შრომის ანაზღაურების მუხლები). კადრების ზღვრული ოდენობა გაზრდილია 151 ერთეულით<sup>1</sup>, რაც სამინისტროს განმარტებით გამოწვეული იქნა

<sup>1</sup> დარღვეულია „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად „დაუშვებელია ასიგნებების ზღვრული მოცულობის ზევით განაცხადების წარდგენა“.

სსიპ „მომსახურების სააგენტოს“, სსიპ „რისკების მართვის სააგენტოს“ დაფინანსების სახეობის შეცვლით (96 საშტატო ერთეული) და შემოსავლების სამსახურისაგან საგამომიებო სამსახურის გამოყოფით და 55 საშტატო ერთეულის დამატებით.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში წლის განმავლობაში სამჯერ განხორციელდა ცვლილება და 2010 წლის 19 ნოემბრის (№3831 რს) კანონით:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასიგნებები (ორგანიზაციული კოდი 23 01) განისაზღვრა 165,801.4 ათასი ლარის ოდენობით, საშტატო რიცხოვნობა 4 582 ერთეულით.

უცხოეთიდან მიღებული წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები (ორგანიზაციული კოდებიდან 23 02 01, 23 02 02 და 23 02 04) 1,663.0 ათასი ლარი ოდენობით.

ამავე პერიოდში „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ („ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“) ასიგნებებიდან საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების შესახებ ცნობების (5 შემთხვევაში) მიხედვით (კოდი 23 02 13 01-რაც არ წარმოადგენდა სამინისტროსათვის განკუთვნილ ასიგნებებს) სამინისტროს ასიგნებებს დაემატა 6,163.0 ათასი ლარი. კერძოდ:

ა. 4,911.0 ათასი ლარი დაემატა ც.აპარატის და სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ ასიგნებებს, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების 3 ცნობა გაუქმდა და 4,911.0 ათასი ლარი, 18 ივნისის კანონით დაემატა ზემოაღნიშნული სამსახურების ასიგნებებს.

ბ. საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების 2010 წლის 15 თებერვლის №60 და 23 მარტის №203 ცნობების მიხედვით „რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ („ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“) ასიგნებებიდან (კოდი 23 02 13 01) დაემატა<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ც/აპარატს (კოდი 23 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლში (პრემია) - 500.0 ათასი ლარი, სახაზინო სამსახურის (კოდი 23 01 04) შრომის ანაზღაურების მუხლში (პრემია) - 602.0 ათასი ლარი და გენერალური ინსპექციის (კოდი 23 01 05) შრომის ანაზღაურების მუხლში (პრემია) - 150.0 ათასი ლარი, სულ - 1,252.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები არ აისახა დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებებში და განხილული იქნა, როგორც ბიუჯეტის დაზუსტება (თავდაპირველ კანონში სახაზინო სამსახურისა და გენერალური ინსპექციის დამტკიცებულ ასიგნებებში საპრემიო თანხები გათვალისწინებული არ ყოფილა, ც.აპარატის საპრემიო თანხა შეადგენდა 513.5 ათას ლარს).

„რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ ასიგნებების შრომის ანაზღაურების (პრემიების) ასიგნებებში გადმოტანა განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც

<sup>2</sup> „საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს, რომ „მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანხმობით“, ხოლო მე-6 მუხლის „რ“ და „ს“ პუნქტები განმარტავს, რომ რ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაციაა და ს) საბიუჯეტო ორგანიზაცია – ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციაა, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისთვის, ასევე ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

სამინისტროს არ შეიძლება წინასწარ სცოდნოდა, თუ როგორ შესრულდებოდა წლის ბოლოსათვის აღნიშნულ პროექტებზე მიმდინარე სამუშაოები.

„რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ ასიგნებები თანადაფინანსების ნაწილში, დაიგეგმა სსიპ „ფონდ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების ზევით: საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2009 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს კანონში 2,000.00 ათასი ლარის ზევით, ხოლო 2010 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებულ კანონში 1,340.00 ათასი ლარის ზევით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამინისტროს ასიგნებებში, დაზუსტების მიზნით, წლის განმავლობაში განხორციელებულია შიდა ცვლილებები 30-ჯერ, 8,504.1 ათასი ლარის ოდენობით.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (6 შემთხვევაში) გამოყოფილი იქნა 1,709.4 ათასი ლარი.

*მ.შ. ცენტრალური აპარატისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები (ათას ლარებში)*

| № | გამოყოფილი ასიგნებების მიზანი                                                             | მთავრობის განკარგულების ნომერი და თარიღი                               | ასიგნება, თანხა | საკასო ხარჯი    |
|---|-------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| 1 | ც.აპარატი არაფინანსური აქტივების ზრდა -საპროექტო სამუშაოები                               | მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 27.01.2010წ. განკ. № 103                  | 150.00          | 109.5           |
| 2 | გრანტი-მოლდოვის რესპუბლიკაში წყალდიდობის სალიკვიდაციოდ დახმარება                          | მთავრობის სარეზერვო ფონდი 25.08.2010წ. განკარგულება №1130              | 552.57          | 552.36          |
| 3 | საქონელი და მომსახურება (საიდუმლო)                                                        | მთავრობის სარეზ. ფონდი 20.08.2010წ. განკარგულება №08                   | 556.17          | 556.17          |
| 4 | საქონელი და მომსახურება - მოქმედი აუდიტორების სახელმწიფო მოხელეებისათვის ტესტების შედგენა | მთავრობის სარეზერვო ფონდიდან პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 381 20.11.10 | 18.8            | 18.8            |
|   |                                                                                           |                                                                        | <b>1,277.54</b> | <b>1,263.83</b> |

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 170,425.90 ათასი ლარი, მ.შ. 23 01 ორგანიზაციული კოდით - 168,762.90 ათასი ლარი და 23 02 01/02/04 ორგანიზაციული კოდებით - 1,663.00 ათასი ლარი.

**აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაცია**

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არ დაუშვას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილებით განსაზღვრულზე ზევით, კადრების ზღვრული ოდენობის საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნა;
- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტმა წლიური ასიგნებების დამტკიცებისას გაითვალისწინოს საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სუბიექტების წარმოდგენილი განაცხადები და არ დაუშვას მათი მოთხოვნის გარეშე

ასიგნებებში ცვლილებები;

- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტმა არ დაუშვას ფინანსთა სამინისტროს (23 01 ორგანიზაციულ კოდში) ასიგნებების გადმოტანა 23 02 ორგანიზაციული კოდში არსებული იმ ასიგნებებიდან, რომლებიც არ არის განკუთვნილი სამინისტროსათვის.

## 2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

### საბიუჯეტო ხარჯები

(ათას ლარებში)

| დასახელება                                        | შენიშვნა  | დაზუსტებული გეგმა | საკასო ხარჯი | ფაქტური ხარჯი |
|---------------------------------------------------|-----------|-------------------|--------------|---------------|
| სულ საბიუჯეტო ხარჯები (კონსოლიდირებული)           | დანართი 1 | 103,095.7         | 100,156      | 115,479.44    |
| სულ არაფინანსური აქტივების ზრდა (კონსოლიდირებული) | დანართი 2 | 66,881.47         | 65,901.82    |               |
| სულ ფინანსური აქტივების ზრდა (კონსოლიდირებული)    | დანართი 3 | 200               | 200          |               |
| სულ ვალდებულებების კლება (კონსოლიდირებული) მ.შ.   | დანართი 3 | 248.70            | 247.32       |               |
| <b>ცენტრალური აპარატი</b>                         | დანართი 4 | 92,386.53         | 91,093.04    | 20,821.46     |
| სულ საბიუჯეტო ხარჯები                             |           | 32,633.91         | 32,110.67    | 20,821.46     |
| სულ არაფინანსური აქტივების ზრდა                   |           | 59,716.79         | 58,946.54    |               |
| სულ ვალდებულებების კლება                          |           | 35.827            | 35.826       |               |
| <b>სსიპ შემოსავლების სამსახური</b>                |           | 52,338.41         | 50,346.62    | 60,655.37     |
| სულ საბიუჯეტო ხარჯები                             |           | 49,123.39         | 47,219.23    | 60,655.37     |
| სულ არაფინანსური აქტივების ზრდა                   |           | 3,195.40          | 3,107.77     |               |
| სულ ვალდებულებების კლება                          |           | 19.62             | 19.62        |               |
| <b>სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური</b>       |           | 5,314.74          | 5,234.48     | 2,307.68      |
| სულ საბიუჯეტო ხარჯები                             |           | 1,544.06          | 1,481.04     | 2,307.68      |
| სულ არაფინანსური აქტივების ზრდა                   |           | 3,770.68          | 3,753.44     |               |
| <b>სახაზინო სამსახური</b>                         |           | 3,472.10          | 3,331.63     | 3,661.31      |
| სულ საბიუჯეტო ხარჯები                             |           | 3,458.10          | 3,317.70     | 3,661.31      |
| სულ ვალდებულებების კლება                          |           | 14.00             | 13.93        |               |

დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებში გადახრა

სამინისტროს ც.აპარატი:

სხვა ხარჯები - (დამტკიცებული გეგმა - 400.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა - 591.3 ათასი ლარი) გადახრა 47.8%, დაკავშირებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯების ზრდასთან.

სსიპ „შემოსავლების სამსახური“:

არაფინანსური აქტივების ზრდა - (დამტკიცებული გეგმა 736.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა 3,195.4 ათასი ლარი) გადახრა დაკავშირებულია სამსახურის ინფრასტრუქტურის

განვითარებასთან დაკავშირებულ სამშენებლო სამუშაოებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესყიდვის განხორციელებასთან.

სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახური“:

საქონელი და მომსახურება - (დამტკიცებული გეგმა 40.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა 115.3 ათასი ლარი) გადახრა დაკავშირებულია ხაზინის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ერთჯერადი და მრავალფუნქციური პაროლების გენერატორების (დი-ჯი-პა-სი) შეძენასთან.

სახაზინო სამსახური:

სოციალური უზრუნველყოფა - (დამტკიცებული გეგმა 70.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა 219.72 ათასი ლარი) გადახრა გამოწვეულია რეგიონალური ხაზინების ლიკვიდაციის შემდგომ, დათხოვნილ თანამშრომელთა კომპენსაციების გაცემით.

ვალდებულებების კლება - (დამტკიცებული გეგმა 0.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა 14.0 ათასი ლარი) გადახრა გამოწვეულია რეგიონალური ხაზინების თანამშრომლებზე ხელფასების გაცემით.

დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის გადახრა

სამინისტროს ც.აპარატი:

სოციალური უზრუნველყოფა - (დაზუსტებული გეგმა 103.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 56.8 ათასი ლარი) გადახრა 18.4% გამოწვეულია მოხელეთა ავადმყოფობის ხარჯების შემცირებით.

სსიპ „შემოსავლების სამსახური“:

სხვა ხარჯები - (დაზუსტებული გეგმა 200.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 7.2 ათასი ლარი) გადახრა გამოწვეულია საკონტროლო შესყიდვების განხორციელების ხარჯების შემცირებით.

სახაზინო სამსახური:

სხვა ხარჯები - (დაზუსტებული გეგმა 219.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 203.3 ათასი ლარი) გადახრები გამოწვეულია რეგიონალური ხაზინების ლიკვიდაციით გამოწვეული ხარჯების შემცირებით.

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულება დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N248 ბრძანებით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილებით დამტკიცდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის საფასურები და მათი განაკვეთები.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 9 აგვისტოს N1451 ბრძანებით (ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით) დამტკიცდა შემოსავლების სამსახურის 2010 წლის

სპეციალური შემოსავლების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დაზუსტდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 30 დეკემბრის N2720 ბრძანებით (ფინანსთა სამინისტროსთან

შეთანხმებით). დაზუსტებულმა ხარჯთაღრიცხვამ როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილში 5,000.0 ათასი ლარი ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში შემოსავლების

სამსახურის მიერ მიღებულია 5,013. 9 ათასი ლარი, მათ შორის: საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 4,947.4 ათასი ლარი, შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან - 66.5 ათასი ლარი, გახარჯულია სულ 2,038.8 ათასი ლარი მ.შ. „საქონელისა და მომსახურების“

მუხლით 242.9 ათასი ლარი, „სხვა ხარჯების“ მუხლით 669.8 ათასი ლარი, „არაფინანსური

აქტივების ზრდის“ მუხლით 1,126.1 ათასი ლარი. ნაშთმა 2011 წლის 01 იანვრისათვის შეადგინა 2,975.1 ათასი ლარი ლარი.

### მეოთხე კვარტლის ანალიზი

#### სამინისტროს ცენტრალურ აპარატი

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ადგილი აქვს კვარტლის ბოლოსათვის აუთვისებული ასიგნებების მომდევნო კვარტლებში გადატანის შემთხვევებს. მაგ. 2010 წლის მეორე და მესამე კვარტლებიდან მეოთხე კვარტალში გადატანილია სულ 9,103.2 ათასი ლარის ასიგნებები, კერძოდ:

| კოდი     | დასახელება                  | მეორე<br>კვარტალი | მეოთხე<br>კვარტალი | მესამე<br>კვარტალი | მეოთხე<br>კვარტალი |
|----------|-----------------------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 23 01 01 | სულ                         | -600.0            | 600.0              | -8,503.2           | 8,503.2            |
|          | ხარჯები                     | -600.0            | 600.0              | -648.5             | 648.5              |
|          | შრომის ანაზღაურება          |                   |                    | -226.6             | 226.6              |
|          | საქონელი და მომსახურება     | -600.0            | 600.0              | -300.0             | 300.0              |
|          | სოციალური უზრუნველყოფა      |                   |                    | -25.1              | 25.1               |
|          | სხვა ხარჯები                |                   |                    | -96.8              | 96.8               |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა |                   |                    | -7,854.7           | 7,854.7            |

აღნიშნულის გამო ადგილი აქვს მეოთხე კვარტალში დიდი ოდენობის საკასო ხარჯების გაწევას. მაგალითად:

ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები ხარჯები: სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებმა შეადგინა 1,872 ათასი ლარი, აქედან 9 თვეში 925.5 ათასი ლარი, ხოლო ბოლო სამ თვეში 947.0 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 51%). მათ შორის:

- შპს „ავტოსერვისცენტრ“-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება 528.9 ათასი ლარი (ხელშეკრულება #161, 1-აპრ-2010, ღირებულებით 593.5 ათასი ლარი);
- შპს „იბერია სერვისი“-ს მიერ შესრულებული 190.9 ათასი ლარის სამუშაოები (ხელშეკრულება #13, 6-იანვ-2010, ღირებულებით 180.0 ათასი ლარი და ხელშეკრულება #575, 21-დეკ-2010, ღირებულებით 12.0 ათასი ლარი);
- შპს „მამონტი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება 189.9 ათასი ლარი (ხელშეკრულება #36, 18-მარტ-2010, ღირებულებით 190.0 ათასი ლარი);
- შპს „ავტოსერვისი დიდი დილომი“-ს მიერ შესრულებული 154.2 ათასი ლარის სამუშაოები (ხელშეკრულება #21, 11-იანვ-2010, ღირებულებით 80.0 ათასი ლარი);
- შპს „იბერია ავტო ლენდი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება 143.2 ათასი ლარი (ხელშეკრულება #14, 6-იანვ-2010, ღირებულებით 143.2 ათასი ლარი) და ა.შ.

ბოლო სამ თვეში ხარჯების ზრდა გამოწვეულია წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება: აქციზური მარკების შესაძენად 9 თვეში გახარჯულია 3,872.2 ათასი ლარი, მაშინ როდესაც, ბოლო კვარტლის ხარჯმა შეადგინა 3,038.7

ათასი ლარი (მთლიანი საკასო ხარჯის 44%). აღნიშნული აქციზური მარკები მიღებულია დსს „გარსუ პაულისის“-გან და გადაცემულია სსიპ „შემოსავლების სამსახურზე“ (ხელშეკრულება #225, 2006 წ, 1,950.0 ათასი ევრო; ხელშეკრულება #299, 2006 წ, 5,381.0 ათასი ევრო; ხელშეკრულება #414, 2008 წ, 1,808.5 ათასი ევრო; ხელშეკრულება #151, 26-მარტ-2010, 6,22.5 ათასი ევრო);

სხვა ხარჯები: შპს „ირაო“-ს სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევისათვის 2010 წლის 9 თვეში ჩაერიცხა 184.7 ათასი ლარი, წლის ბოლო სამ თვეში კი 132.8 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 42%). აღნიშნული გამოწვეულია შპს „ირაო“-ს მიერ წლის ბოლოსათვის წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებით (ხელშეკრულება #208, 1-აპრ-2009, ღირებულებით 428.5 ათასი ლარი; ხელშეკრულება #236, 28-მაისი-2010, ღირებულებით 46.5 ათასი ლარი);

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი: 2010 წლის 9 თვეში შეძენილია 1,487.7 ათასი ლარის ღირებულების, მეოთხე კვარტალში კი 1,698.1 ათასი ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (მთლიანი საკასო ხარჯის 53%). აქედან, შპს „იუ-ჯი-თი“-ზე გადარიცხულმა საავანსო თანხამ შეადგინა 304.8 ათასი ლარი (ხელშეკრულება #557, 9-დეკ-2010, ღირებულებით 369.6 ათასი ლარი - კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენა), შპს „ესაბი“-ზე კი 145.5 ათასი ლარი (ხელშეკრულება #558, 9-დეკ-2010, ღირებულებით 207.9 ათასი ლარი - კომპიუტერული და სხვა საოფისე ტექნიკის შეძენა).

სსიპ „შემოსავლების სამსახური“

სსიპ „შემოსავლების სამსახურში“ ადგილი აქვს კვარტლის ბოლოსათვის აუთვისებელი ასიგნებების მომდევნო კვარტლებში გადატანის შემთხვევებს. მაგ. 2010 წლის მესამე კვარტლებიდან მეოთხე კვარტალში გადატანილია სულ 3,086.0 ათასი ლარის ასიგნებები:

| კოდი     | დასახელება                  | მესამე კვარტალი | მეოთხე კვარტალი |
|----------|-----------------------------|-----------------|-----------------|
| 23 01 02 | სულ                         | -3,086.0        | 3,086.0         |
|          | ხარჯები                     | -2,164.0        | 2,164.0         |
|          | შრომის ანაზღაურება          | -1,246.0        | 1,246.0         |
|          | საქონელი და მომსახურება     | -902.0          | 902.0           |
|          | სოციალური უზრუნველყოფა      | -16.0           | 16.0            |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა | -922.0          | 922.0           |

შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ აპარატში 2010 წლის მეოთხე კვარტალი წინა 9 თვესთან შედარებით საკასო ხარჯის მაღალ მაჩვენებლით ხასიოდება, რაც წლიური საკასო ხარჯის 45%-ია. მაგალითად:

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის წლიურმა საკასო ხარჯმა 67.3 ათასი ლარი შედგინა. მათ შორის 9 თვის საკასო ხარჯი 11.9 ათას ლარს, ხოლო მეოთხე კვარტალის საკასო ხარჯი 55.4 ათას ლარს (მთლიანი საკასო ხარჯის 82%) შეადგენს. მეოთხე კვარტალში მომწოდებლებზე ანაზღაურებულია მომსახურების ღირებულება. მაგალითად: შპს „მამონტი“ 49.4 ათასი ლარი, (ინვენტარის გადაზიდვა-გადატვირთვის მომსახურება. ხელშეკრულებები N437 01.10.2010წ. და N596 19.11.2010წ.), შპს „თეგეტა

მოტორსი“ 3.0 ათასი ლარი ავტოტექნომომსახურების ღირებულება (ხელშეკრულებები N492 21.10.2010წ.; N534 08.11.2010წ.; N605 22.11.2010; N608 24.11.2010წ.; N629 29.11.2010წ.), შპს „ავტოტესტ გეორგია“ 1.2 ათასი ლარი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექ. დათვალიერების მომსახურების ღირებულება (ხელშეკრულება N306 22.07.2010წ.) და ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ 1.8 ათასი ლარი ავტომანქანის მომსახურების ღირებულება (ხელშეკრულება N430/1 29.09.2010წ.)

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა წლის განმავლობაში 124.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც საკასო ხარჯი 37.6 ათასი ლარის ოდენობით, გაწეულია 9 თვეში, ხოლო 86.4 ათასი ლარი (მთლიანი საკასო ხარჯის 70%) მეოთხე კვარტალში. მეოთხე კვარტალში გაწეულია საკასო ხარჯი წარმომადგენს სტუმრების მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულებას. ანაზღაურება განხორციელებულია ძირითადად შემდეგ მიმწოდებლებთან: „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ/გრუპი“ - 10.1 ათასი ლარი (ხელშეკრულება N451 05.10.2010წ., N490/3 19.10.2010წ., N503/1 28.10.2010წ. და N427/1 27.09.2010წ.), შპს „რას ალხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“- 10.2 ათასი ლარი (ხელშეკრულება N481/1 18.10.2010წ.) და შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ - 24.3 ათასი ლარი (ხელშეკრულებები N415 17.09.2010წ., N447/1 04.10.2010 წ. და N490/4 19.10.2010წ.).

შენობა ნაგებობების მუხლით გაწეულმა წლიურმა საკასო ხარჯმა 895.1 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 9 თვის საკასო ხარჯი 186.4 ათას ლარს, ხოლო მეოთხე კვარტალის საკასო ხარჯი 708,7 ათას ლარს (მთლიანი საკასო ხარჯის 79%) შეადგენს. მეოთხე კვარტალში ანაზღაურებულია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ძირითადად შემდეგ შემსრულებლებზე: შპს „მშენებელი“ - 132.1 ათასი ლარი, ს.გ.პ „ყაზბეგის“ გაზიფიკაციის ღირებულება (ხელშეკრულება N394 10.09.2010წ.), შპს „ალიანსი“ - 371.2 ათასი ლარი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზის მოწყობის სამუშაოების ღირებულება (ხელშეკრულება N540 09.11.2010წ.), შპს „რედლაინი“ - 87.8 ათასი ლარი, სარემონტო სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება (ხელშეკრულება N634 30.11.2010წ.).

სატრანსპორტო საშუალებების მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 198.7 ათასი ლარი. მათ შორის, 9 თვეში 50.5 ათასი ლარი, ხოლო მეოთხე კვარტალში 148.3 ათასი ლარი (მთლიანი საკასო ხარჯის 75%). მეოთხე კვარტალში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელებულია ძირითადად შემდეგ მიმწოდებლებზე: შპს „ორიენტ ლოჯიკი“ რენტგენული სკანერის დიაგნოსტიკა შეკეთება 50.2 ათასი ლარი (ხელშეკრულებები N421 20.09.2010წ. და N349 11.08.2010წ.), შპს „კია მოტორს ჯორჯია“ 69.1 ათასი ლარი, ძველი მსუბუქი ავტომანქანების ახლით ჩანაცვლების სხვაობის თანხა (ხელშეკრულება N668 17.12.2010წ.) და შპს „სუპერ სეგვეი საქართველო“ 29.0 ათასი ლარი ელექტრო პერსონალური ტრანსპორტის შეძენა (ხელშეკრულება N538 09.11.2010წ.).

სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი: წლიური საკასო ხარჯი 1,808.1 ათას ლარის ტოლია. მათ შორის, 534,9 ათასი ლარი შეადგენს 9 თვის საკასო ხარჯს, ხოლო 1,273.2 ათასი ლარი მეოთხე კვარტალის საკასო ხარჯია (მთლიანი საკასო ხარჯის 70%). მეოთხე კვარტალში შეძენილია კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებები. გადარიცხვები განხორციელებულია ძირითადად შემდეგ მიმწოდებლებზე: შპს „იუ-ჯი-თი“ - შეძენილია 319.7 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა (ხელშეკრულებები N458 11.10.2010წ.; N525 04.11.2010წ. და N662 09.12.2010წ.), შპს „პეკინი 29“ - 189.0 ლარით შეძენილია მომხმარებელთა ნაკადის მართვის სისტემა (ხელშეკრულება N450 06.10.2010წ.), შპს „ნეოტეკი“ -279.0 ათასი ლარით შეძენილია ვიდეოსაკონტროლო სისტემები (ხელშეკრულებები N449 05.10.2010წ. და N664

10.12.2010წ) და შპს „ესაბი“ - 217.4 ათასი ლარით შეძენილია მრავალფუნქციური ტექნიკა (ხელშეკრულება N463 12.10.2010წ.)

ზემოაღნიშნულ კონტრაქტორებზე დებიტორული დავალიანებები არ ირიცხება.

#### აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაცია

- სამინისტრომ მინიმუმამდე დაიყვანოს, სამინისტროსთვის დამტკიცებული და/ან დაზუსტებული ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების, ასევე დამტკიცებული ბიუჯეტის განწერის ცვლილებების აუცილებლობები და შემთხვევები; არ დაუშვას ბოლო კვარტალში, წლის ბოლოსათვის ასიგნებათა გადანაწილების აუცილებლობა და აკუმულირება, რაც თავისთავად იწვევს საბიუჯეტო სახსრების არათანაბარ ხარჯვას წლის განმავლობაში.

### 3. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო - სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობათა დაცვის მდგომარეობა

#### ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმები წარდგენილია კანონით დადგენილ ვადებში, თუმცა წლის განმავლობაში შესყიდვების გეგმები იცვლებოდა, ასიგნებებში მუხლობრივად ცვალებადობის შესაბამისად. სამინისტრომ 2010 წელს განხორციელა შემდეგი სახისა და მოცულობის შესყიდვები:

#### 2010 წელს განხორციელებული შესყიდვები

(ათას ლარებში)

| № | შესყიდვის ფორმა | შესყიდვების რ-ბა | სახელშეკრულებო ღ-ბა                                         | ფაქტობრივად გადარიცხული თანხა |
|---|-----------------|------------------|-------------------------------------------------------------|-------------------------------|
| 1 | ეკმ             | 450              | 22,805.90 ათასი ლარი, 216.30 ათასი ევრო, 23.90 ათასი დოლარი | 23,689.90                     |
| 2 | ფასთა კოტირება  | 5                | 238.20 ათასი ლარი                                           | 188.80                        |
| 3 | ტენდერი         | 63               | 45,314.00 ათასი ლარი, 249.00 ათასი ევრო                     | 37,757.20                     |

|        |           |                      |
|--------|-----------|----------------------|
| ლარი   | 68,358.10 | 61,635.90 ათასი ლარი |
| ევრო   | 465.30    |                      |
| დოლარი | 23.90     |                      |

სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის საშუალებით განხორციელებისას, შესყიდვების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 57,578.65 ათას ლარს, სახელშეკრულებო ღირებულება კი 45,914.8 ათას ლარს. განხორციელებული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 11,663.85 ათას ლარი, მ.შ. 2010 წელს გახარჯულია 4,922.07 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა შეადგენს მრავალწლიანი ხელშეკრულებიდან მიღებულ ეკონომიას.

2010 წელს სხვადასხვა შემსყიდველის მიერ სამინისტროს სისტემაში შემავალი

ორგანიზაციებისათვის აშენდა ახალი ობიექტები, ასევე კაპიტალურად გარემონტდა ძველი შენობები, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 53,022.70 ათასი ლარი (წინა წლებში დაწყებული სამუშაოები - 9,137.4 ათასი ლარი, მიმდინარე წელს დაწყებული სამუშაოები - 43,885.3 ათასი ლარი). სამინისტროში წარმოდგენილია სამუშაოთა შესრულების ანგარიშები (ფორმა №3) და აქტები შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა №2), რომელსაც თან ახლავს, როგორც სამინისტროს თანამშრომელთა ინსპექტირების ჯგუფის, ასევე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტების დასკვნები.

სამინისტროს მხრიდან შესაბამისი ზომებია გატარებული სახელმწიფო შესყიდვების თანახმად გაფორმებული სახელშეკრულებო (83 ერთეული) პირობების მიმწოდებელი სუბიექტების მიერ სამუშაოების (მომსახურების) დასრულების ვადების დარღვევისათვის, რის შედეგადაც წლის მადილზე დარიცხულია პირგასამტეხლო 490.9 ათასი ლარის ოდენობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით პირგასამტეხლო დაერიცხათ:

- შპს „ინჟინერ 2005“ -ს (ს/კ 205224324) – 229.2 ათასი ლარი.
- შპს „ზიმო“ - ს (ს/კ 211338015) – 132.6 ათასი ლარი.
- შპს „დავით და კომპანია“ – (სკ - 204491488) - 30.1 ათასი ლარი

2010 წელს დარიცხული აღნიშნული თანხებიდან ბიუჯეტში ჩარიცხულია 78.5 ათასი ლარი, ნაშთმა 2011 წლის 1 იანვრისთვის შეადგინა 418.1 ათასი ლარი (10 ხელშეკრულება), საიდანაც 7 სუბიექტზე დარიცხული თანხების ამოსაღებად მასალები გადაეგზავნა იურიდიულ სამსახურს. აღნიშნული თანხები საჭიროებს საბუღალტრო ანგარიშზე<sup>3</sup> (6430) ასახვას.

### შემოსავლების სამსახური

შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი იქნა 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შესყიდვების გეგმა 9,843.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელმაც წლის განმავლობაში განხორციელებული კორექტირებების შედეგად შეადგინა 8,893. 2 ათასი ლარი.

*გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ცხრილი*  
(ათას ლარებში)

| № | შესყიდვის ფორმა | შესყიდვების რ-ბა | სახელშეკრულებო ღ-ბა | ფაქტობრივად გადარიცხული თანხა |
|---|-----------------|------------------|---------------------|-------------------------------|
| 1 | ეკმ             | 981              | 5,581.3             | 5,463.0                       |
| 2 | ფასთა კოტირება  | 5                | 263.0               | 250.3                         |
| 3 | ტენდერი         | 22               | 3,041.3             | 3,017.2                       |

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის № 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 47- ე მუხლის „მე-40“ პუნქტი ითვალისწინებს ხელშეკრულებების პირობების დარღვევაზე დაკისრებული სანქციების,საურავებისა და ჯარიმების„6430“ საბალანსო ანგარიშზე აღრიცხვას.

მიმწოდებლებთან 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო, სამსახურის მიერ ამავე წელს დარიცხულმა პირგასამტეხლოების თანხამ საერთო ჯამში შეადგინა 6.23 ათასი ლარი (ჩარიცხულია ბიუჯეტში), რაც ექვემდებარებოდა „6430“ საბუღალტრო ანგარიშზე ასახვას.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სამსახურის მიერ მიმწოდებლებთან 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო დამატებით დარიცხული იქნა 0.55 ათასი ლარი.

რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ზოგიერთი მუხლი წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. მაგალითად, სამსახურის მიერ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებში (საქონლის მიწოდების პირობები) ასახული არ არის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების გეგმა-გრაფიკი, მაშინ როცა ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს პირგასამტეხლოების დარიცხვას სატენდერო წინადადებისა და საქონლის მიწოდების გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

#### აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაცია

- ცენტრალურმა აპარატმა და სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ მიმწოდებელი სუბიექტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების თანახმად გაფორმებული სახელშეკრულებო პირობების (სამუშაოების (მომსახურების) დასრულების ვადების) დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო თანხები ასახოს „6430“ საბუღალტრო ანგარიშზე;
- სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას გაითვალისწინოს სატენდერო წინადადებები და პირგასამტეხლოების დარიცხვა მოახდინოს ამავე წინადადებების შესაბამისად.

#### 4. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ORIS-ის კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და დოკუმენტაცია შედგენილია ჟურნალ-ორდერული ფორმით. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენილია დროულად, თუმცა ანგარიშში არ არის ინფორმაცია სამინისტროს ორგანიზაციული კოდის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებში საშტატო რიცხოვნების შესახებ, ასევე არ არის ინფორმაცია სსიპ „მომსახურების სააგენტოსა“ და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ წლის განმავლობაში მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ. სსიპ „შემოსავლების სამსახური“ არ არის შესული საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ნუსხაში“ (მიუხედავად მთავრობის მიერ ნუსხაში განხორციელებული ცვლილებისა -2010 წლის 20.10. №323)<sup>4</sup>.

<sup>4</sup> არ სრულდება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის № 340 ბრძანების მოთხოვნები.

## კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება (იხ. დანართი #5)

### სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- სამინისტროს ცენტრალურ აპარატს წლის ბოლოსათვის საბალანსო ანგარიშზე „დაუმთავრებელი მშენებლობა“ (2140) ერიცხებოდა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ კუთვნილი ქ. ქუთაისში ჯავახიშვილის №5-ში მდებარე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შენობა - 2,584.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით (სამუშაოები დასრულებულია 2010 წლის 16 ნოემბერს - მიღება-ჩაბარების აქტი №1614).
- 2010 წლის 28 სექტემბერს დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე (2140) გატარდა შ.პ.ს. „ტრანსმშენის“ მიერ ნაზარდი ჯამით შესრულებული სკპ „სარფის“ სამშენებლო სამუშაოები (1,416.19 ათასი ლარი), მიმდინარე პერიოდში შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაცვლად (347.34 ათასი ლარი) - სხვაობამ შეადგინა 1,068.85 ათასი ლარი (ძირითადი საშუალების ზედმეტად და მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების ნაკლებად შეფასება). გატარება დაკორექტირდა 2011 წლის 3 იანვარს.

### ძირითადი საშუალებები (იხ. დანართი #7)

#### არაფინანსური აქტივების მოძრაობა (შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატი)

სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალურ აპარატზე აქტივების გადაცემის დროს ადგილი აქვს შემოსავლების სამსახურის მხრიდან აქტივების ბალანსზე დაგვიანებით ასახვას (მაგ. დეკემბრის თვეში გადაცემული ქ. მარნეულში სოფელ სადახლოს რკინიგზის სადგურ „სადახლოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა, ღირებულებით 92.84 ათასი ლარი, შემოსავლების სამსახურის მიერ გატარებულია 2011 წლის 28 იანვარს), რაც ძირითადად გამოწვეულია გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მიღება- ჩაბარების აქტი) შემოსავლების სამსახურის მიერ დაგვიანებით მიღებით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 16 სექტემბერის #1-1/2091 ბრძანების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას „შემოსავლების სამსახურს“ გადაეცა ლაგოდეხის რაიონის, სოფელ მაწიმში მდებარე შენობა-ნაგებობა (25.6 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით) და 16881 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ღირებულების გარეშე), რაზედაც იმავე წელს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი (ზუსტი თარიღის გარეშე), რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქონება გადაეცა „შემოსავლების სამსახურის“ თელავის რეგიონალურ ცენტრს. „შემოსავლების სამსახურის“ რეორგანიზაციის შემდგომ 2010 წლის 22 თებერვალს ცენტრალური აპარატის ბალანსზე აღრიცხული იქნა 18138.78 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღირებულების გარეშე. 2010 წლის 10 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ზემოაღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზუსტებულმა ფართობმა შეადგინა 10600 კვ.მ, თუმცა სამსახურის ბალანსზე 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კვლავ ირიცხება 18138.78 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულების გარეშე).

## მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგების მოძრაობა (სამინისტროს ცენტრალური აპარატი)  
(ათას ლარებში)

|                            | ფულადი<br>დოკუმენტები | სხვა დანარჩენი მატერიალური<br>მარაგები | სულ         |
|----------------------------|-----------------------|----------------------------------------|-------------|
| საწყისი ნაშთი              | 282.99                | 893.56                                 | 1,176.55    |
| შესყიდვა                   | 11,875.61             | 2,647.87                               | 14,523.48   |
| უსასყიდლოდ გადაცემა        | (11,768.91)           | (2,399.54)                             | (14,168.45) |
| უსასყიდლოდ გადმოცემა       | 2.23                  | 96.71                                  | 98.94       |
| სხვა ეკ. ნაკადები (მიღება) | -                     | 107.88                                 | 107.88      |
| საქონელი და მომსახურება    | (340.93)              | (587.28)                               | (928.21)    |
| დანაკლისის აღდგენა         | -                     | 4.04                                   | 4.04        |
| საბოლოო ნაშთი              | 50.99                 | 763.24                                 | 814.23      |

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ინვენტარიზაცია ჩატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 7 დეკემბრის #891 ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ინვენტარიზაციას დაექვემდებარა ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივები, ასევე საწყობში არსებული ძირითადი საშუალებები, მატერიალური მარაგები და ფასეულობები.

მიმდინარე აუდიტის პერიოდში (2011 წლის 5 აპრილი) აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმებული იქნა 17 დასახელების მატერიალური მარაგების აღრიცხვის მდგომარეობა, რომლის დროსაც საბუღალტრო ჩანაწერებსა და ფაქტიურ ნაშთებს შორის რაიმე სხვაობა არ გამოვლენილა. თუმცა ცენტრალურ აპარატს ერიცხება 38.84 ათასი ლარის ღირებულების გამოუყენებელი მატერიალური მარაგები - კატრიჯები, რომელთა შესაბამისი პრინტერები უკვე აღარ არის ხმარებაში:

### გამოუყენებელი მარაგები

(ათას ლარებში)

| მარაგის დასახელება            | აღრიცხული რაოდენობა<br>2010 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | აღრიცხული ღირებულება<br>2010 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით |
|-------------------------------|---------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------|
| კატრიქი xerox118 98           | 80                                                            | 7.84                                                           |
| ტონერ-კატრიქი PC-118 86.80    | 10                                                            | 0.87                                                           |
| კოპი-კატრიქი XEROX PC 118 190 | 9                                                             | 1.71                                                           |
| კოპი-კატრიქი XEROX C-118 257  | 60                                                            | 15.42                                                          |
| ტონერ-კატრიქი XEROX C-123 147 | 40                                                            | 5.88                                                           |
| ტონერ-კატრიქი XEROX C-118 70  | 65                                                            | 4.55                                                           |
| კოპი-კატრიქი EROX C-123 257   | 10                                                            | 2.57                                                           |
| ჯამი                          | 274                                                           | 38.84                                                          |

მატერიალური მარაგების მოძრაობა (შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატი)  
(ათას ლარებში)

|                               | ნედლეული<br>და მასალები | სათადარიგო<br>ნაწილები | ფულადი<br>დოკუმენტები | სხვა<br>დანარჩენი<br>მატერიალური<br>მარაგები | სულ         |
|-------------------------------|-------------------------|------------------------|-----------------------|----------------------------------------------|-------------|
| საწყისი ნაშთი                 | 4.17                    | 4.46                   | 2,476.25              | 1,214.40                                     | 3,699.28    |
| შესყიდვა                      |                         | 9.38                   | 533.70                | 2,273.05                                     | 2,816.13    |
|                               |                         |                        |                       | (8.43)                                       |             |
| უსასყიდლოდ<br>გადაცემა        |                         |                        |                       |                                              | (8.43)      |
| უსასყიდლოდ<br>გადმოცემა       |                         | 4.39                   | 9,356.47              | 1,339.82                                     | 10,700.68   |
| სხვა ეკ. ნაკადები<br>(გასვლა) | (0.40)                  |                        |                       | (1.44)                                       | (1.84)      |
| საქონელი და<br>მომსახურება    |                         | (15.08)                | (7,287.23)            | (3,077.48)                                   | (10,379.79) |
| საბოლოო ნაშთი                 | 3.77                    | 3.15                   | 5,079.19              | 1,739.92                                     | 6,826.03    |

სსიპ - „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემოწმების მიზნით შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 25 ოქტომბრის N2084 ბრძანებით შეიქმნა მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისია და ინვენტარიზაციის ჩატარების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 25 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

დებიტორ-კრედიტორები

დებიტორული დავალიანები წარმოშობის წლების მიხედვით  
(ათას ლარებში)

| წლები | სამინისტროს ცენტრალური აპარატი | შემოსავლების სამსახურის ც/აპარატი |
|-------|--------------------------------|-----------------------------------|
| 1996  |                                | 56.46                             |
| 1997  |                                | 340.17                            |
| 1998  | 3.59                           | 22.00                             |
| 2000  | 1.61                           | 0.73                              |
| 2001  |                                | 1.66                              |
| 2002  |                                | 4.49                              |
| 2003  |                                | 17.29                             |
| 2004  | 15.01                          |                                   |
| 2005  | 146.30                         |                                   |
| 2006  | 0.31                           |                                   |
| 2007  | 37.34                          |                                   |

<sup>5</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა: „ა“ - ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა და ასევე იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ და „ზ“ - საბიუჯეტო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის დროს ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა.

|      |          |        |
|------|----------|--------|
| 2009 | 399.22   |        |
| 2010 | 3,973.80 |        |
| ჯამი | 4,577.17 | 442.79 |

2010 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 1,048.6 ათასი ლარი, 2011 წლის 1 იანვრისათვის კი 5,120.3 ათასი ლარი (2010 წელს წარმოიშვა 4,071.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება). დიდი დავალიანებები ერიცხებათ:

- ც/აპარატის: შპს „იუ-ჯი-თის“ (არაფინანსური აქტივი) - 37.3 ათასი ლარი (წარმოშობილია 2007 წელს - მოქმედია), „ლოუ ოფის“- 146.3 ათასი ლარი (წარმოშობილია 2005 წელს და სამინისტროს მიერ გაურკვეველია). ამასთან, UNCTAD Trust Fund-ის დებიტორულ დავალიანებამ შეადგინა 184.7 ათასი ლარი, რაზედაც აუდიტის პერიოდში აპარატის მიერ შესარების აქტი არ არის წარმოდგენილი.
- სსიპ „შემოსავლების სამსახურის“- კ/ს „ნავთობაზას“ (ტრანსპორტი) - 238.8 ათასი ლარი (წარმოშობილია 1997 წელს გადაცემულია სააღსრულებო ბიუროზე), „თეთრიწყაროს“ (სხვა დანარჩენი) - 38.3 ათასი ლარი (წარმოშობილია 1996 წელს, გაგზავნილია წერილი № 16-04/4319 2008 წლის 22 თებერვალს), შპს „სამცხე XXI“-ს - 90.0 ათასი ლარი (წარმოშობილია 1997 წელს).

*კრედიტორული დავალიანები წარმოშობის წლების მიხედვით*  
(ათას ლარებში)

| წლები | სამინისტროს ცენტრალური აპარატი | შემოსავლების სამსახურის ც/აპარატი |
|-------|--------------------------------|-----------------------------------|
| 1998  | 0.15                           |                                   |
| 1999  | 0.01                           | 0.74                              |
| 2000  | 2.00                           |                                   |
| 2001  | 1.84                           |                                   |
| 2002  | 23.87                          | 5.51                              |
| 2003  | 22.83                          | 68.77                             |
| 2004  | 23.91                          | 37.46                             |
| 2005  | 5.92                           |                                   |
| 2006  | 15.00                          |                                   |
| 2007  | 164.23                         | 0.30                              |
| 2009  | 0.17                           |                                   |
| 2010  | 194.48                         | 83.25                             |
| ჯამი  | 454.40                         | 196.03                            |

2010 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 544.6 ათასი ლარი, 2011 წლის 1 იანვრისათვის კი 842.6 ათასი ლარი (2010 წელს წარმოიშვა 298.0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება). 2010 წელს წარმოშობილი დავალიანებებიდან მნიშვნელოვანია:

- ც/აპარატში: -შპს „ანაგის“ (არაფინანსური აქტივი) - 139.4 ათასი ლარი, შპს „ეს-ჰაუსის“- 8.6 ათასი ლარი.

- სსიპ „შემოსავლების სამსახურში“- შპს „ხუროსი“ (სხვა დანარჩენი) - 80.0 ათასი ლარი.

მაშინ, როდესაც წლის ბოლოსათვის სამინისტროს ც/აპარატის დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენდა -1,293.5 ათას ლარს, ხოლო სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა 1,991.8 ათას ლარს.

## აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაცია

- ც.აპარატმა საბიუჯეტო დეპარტამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარადგინოს სრულყოფილად;
- ც/აპარატის საბალანსო ანგარიშზე (2140) „დაუმთავრებელი მშენებლობა“ რიცხული ქ. ქუთაისში ჯავახიშვილის №5 –ში მდებარე, ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შენობა - 2 584.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, გადასცეს ბალანსზე სსიპ „შემოსავლების სამსახურს“.
- სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ აწარმოოს ძირითადი აქტივების (როგორც ქონების, ასევე მიწის) გადმოცემის დოკუმენტაციისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის) მიხედვით საბუღალტრო აღრიცხვა და მოახდინოს რაოდენობრივად აღრიცხული ქონების განფასება;
- სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მასზე რიცხული გამოუყენებელი მატერიალური მარაგების ჩამოსაწერად;
- სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები შპს „ლოუ ოფის“-თან და UNCTAD Trust Fund-თან შედარების აქტების გასაფორმებლად;
- სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა და სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ წინა წლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანების რეალობის დადგენისა მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები.
- წლის ბოლოსათვის აუთვისებული ასიგნებების პირობებში, სამინისტროს ც/აპარატმა და სსიპ შემოსავლების სამსახურმა არ დაუშვან კრედიტორული დავალიანების წარმოშობა;
- სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის დამტკიცებული - საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესით გათვალისწინებული მოთხოვნები.

## 5. სახელმწიფო ვალის ფორმირებისა და მართვის მდგომარეობა

2009 წლის 4 დეკემბერს მიღებული „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, *საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა* 2010 წლის ბოლოსათვის განისაზღვრა 8,809,100.00 ათასი ლარის ოდენობით, რაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში, კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაიზარდა 663,900.00 ათასი ლარით (თავდაპირველად დაგეგმილთან შედარებით 7.5%) და შეადგინა 9,473,000.00 ათასი ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2010 წლის ბოლოსათვის შემდეგნაირად განისაზღვრა:


(ათას ლარებში)



წლის განმავლობაში კანონში განხორციელებული ცვლილებებით სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთის ზღვრული მოცულობა გაიზარდა და შეადგინა 9,473,000.00 ათასი ლარი, შემცირდა სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის განსაზღვრული ასიგნებები 26,479.9 ათასი ლარით და შეადგინა 261,311.9 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაზარჯულია 255,429.52 ათასი ლარი (გეგმის 97.7%).

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის (ორგანიზაციული კოდი 53 01) 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულია ხარჯები:

(ათას ლარებში)



2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთმა 6,979,300.00 ათასი ლარი შეადგინა (საგარეო ვალის წლიური ზღვრული მოცულობის 91.5%). მათ შორის:

- მრავალმხრივი კრედიტორებისგან - 5,053,500.00 ათასი ლარი.
- ორმხრივი კრედიტორებისგან - 1,033,400.00 ათასი ლარი.
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებებისგან - 886,400.00 ათასი ლარი.
- სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტებისგან - 6,000.00 ათასი ლარი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობის შენარჩუნების შეფასება ხდება მრავალი პარამეტრით, მათ შორისაა:

- ვალის ოდენობის შეფარდება მშპ-სთან;

- ვალის მომსახურების ოდენობის შეფარდება ექსპორტთან;
- ვალის მომსახურების ოდენობის შეფარდება შემოსავლების ოდენობასთან და ა.შ.

სახელმწიფო საგარეო ვალის აღებისა და ვალის ზღვრული მოცულობის განსაზღვრისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეყრდნობა არსებულ მდგომარეობასა და მოსალოდნელ პროგნოზებს, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებსა და გაანგარიშებებს.

**2010 წლის მთავრობის საგარეო ვალის\* ძირითადი მაჩვენებლები**

|                                                                        | პროგნოზი** | ფაქტი*** | დასაშვები ზღვარი**** |
|------------------------------------------------------------------------|------------|----------|----------------------|
| მთავრობის საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-თან                             | 36.2%      | 33.6%    | 50%                  |
| მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან             | 5.3%       | 3.8%     | 25%                  |
| მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან | 5.3%       | 4.4%     | 35%                  |

2010 წელს საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტია არ გაცემულა.

წინა პერიოდში, სახელმწიფოს გარანტიით აღებულ კრედიტზე - გერმანიის „კერძო სოფლის მეურნეობის პროგრამა“ ვალის ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,000.00 ათას ლარს (ხელმოწერა განხორციელდა 1994 წელს და გარანტია გაცემულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე - 1998 წლის 5 მარტს).

**სახელმწიფო საგარეო ვალის მდგომარეობა 2010 წლის 31 დეკემბრისათვის**

(ათას ლარებში)

|   |                                        |               |
|---|----------------------------------------|---------------|
| 1 | კრედიტის შეთანხმებული თანხა            | 10,537,389.80 |
| 2 | ათვისებული თანხა                       | 8,275,722.60  |
| 3 | ძირითადი ვალის რესტრუქტურირებული თანხა | 63,077.99     |
| 4 | ძირითადი ვალის გადახდილი თანხა         | 1,297,660.40  |
| 5 | დარიცხული პროცენტის გადახდილი თანხა    | 880,569.00    |
| 6 | დავალიანება ძირითადი ვალის             | 49,611.90     |
| 7 | დავალიანება დარიცხული პროცენტის        | 0.00          |
| 8 | ვალის ნაშთი                            | 6,979,303.90  |

სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა 2010 წლისათვის დაზუსტებული საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული იყო 1,848,000.00 ათასი ლარი (თავდაპირველად დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 100,100.00 ათასი ლარით), 2010 წლის 31

\* მოიცავს ეროვნული ბანკის ვალდებულებებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ

\*\* საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2009 წლის 4 დეკემბრის საქართველოს კანონის თანმხლები მკაცრობრილები

\*\*\* საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს კანონის მეორე ცვლილების თანმხლები მკაცრობრილები

\*\*\*\* საერთაშორისო სავალუტო ფონდის VII და VIII მიმოხილვის ანგარიში, იანვარი 2011

დეკემბრისათვის საშინაო ვალმა ფაქტიურად შეადგინა 1,818,000.30 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98.4 %. მათ შორის:

- ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია - 600,846.00 ათასი ლარი.
- სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის - 112,000.00 ათასი ლარი.
- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები - 431,371.10 ათასი ლარი.
- ე.წ. „ისტორიული ვალები“ 674,070.00 ათასი ლარი.

სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის, აუდიტის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა 103,126.40 ათასი ლარი შეადგინა. აქედან:

- სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე პროცენტის გადახდამ - 52,145.80 ათასი ლარი;
- ძირითადი თანხის დაფარვამ - 35,000.0 ათასი ლარი;
- სახაზინო ვალდებულების დისკონტის თანხის დაფარვამ - 14 698.1 ათასი ლარი;
- სახაზინო ობლიგაციების კუპონის გადახდამ - 1,282.50 ათასი ლარი.

„საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ 2010 წლის 13 იანვრიდან გააგრძელა ფასიანი ქაღალდების გამოშვება, 2010 წლის განმავლობაში ჩატარებულ 50 აუქციონზე რეალიზებული იქნა 608 000 ცალი სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია აქედან:

- 50% 6 - თვიანი სახაზინო ვალდებულება;
- 34% 12- თვიანი სახაზინო ვალდებულება;
- 16% 24-თვიანი სახაზინო ობლიგაცია.

2010 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების რეალიზებით მიღებულმა წმინდა შემოსავალმა შეადგინა 171,863.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო საშინაო ვალის ნაწილი ფორმირებულია ე.წ. „ისტორიული ვალებით“ - ყოფილი სსრ კავშირის დაშლით წარმოქმნილი ვალდებულებებით, რომელიც „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულია საშინაო ვალად. თანხობრივად ეს ვალი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის განსაზღვრულია 674,070.00 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა ეს ციფრი პირობითია, ვინაიდან არ არის განხორციელებული ცალკეული კატეგორიების ინვენტარიზაცია, ასევე არ არსებობს ვალის გაანგარიშების ნორმატიული ბაზა.

სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, მოწესრიგებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა აღიარებული სახელმწიფო ვალის თითოეული კატეგორიის მიმართ ანაზღაურების მექანიზმი.

2004 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებებით პირველ დადგენილებაში შესულია მრავალი ცვლილება, რომლებიც ეხება კომისიის შემადგენლობასა და უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას, ხოლო პრობლემის მოსაგვარებლად, მიუხედავად ჩვენს მიერ წლების განმავლობაში მიწოდებული რეკომენდაციებისა რაიმე ღონისძიებები არ გატარებულა.

რაც შეეხება ვალების მომსახურებას 2010 წლის განმავლობაში ქ. თბილისის მერიამ განახორციელა საკომპენსაციო გადახდა 1,000.00 ათასი ლარის ოდენობით, მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების მიმართ, არსებული ვალის ანაზღაურების მიზნით, რის შედეგადაც სახელმწიფო საშინაო ვალი შემცირდა ამავე თანხით.

სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოებისა და სახელმწიფო გარანტიების რეესტრის წარმოების შესახებ დებულება დამტკიცებულია 2011 წლის 04 თებერვალს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 48 ბრძანება). სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში ამ რეესტრების წარმოება, საგარეო ვალთან მიმართებაში ხდება პარალელურად UNCTAD-ის DMFAS (ვალის მართვის ფინანსური ანალიზის სისტემისა) და დეპარტამენტში შექმნილი (DMNAT) სისტემების საშუალებით.

სახაზინო სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტი სახელმწიფო საშინაო ვალის რეესტრს აწარმოებს თავისი შეხედულებისამებრ, ჩამონათვალის სახით.<sup>6</sup>

სახელმწიფო საგარეო საკრედიტო რესურსებიდან გადასესხებული თანხა, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ხელშეკრულებებით სულ 44), შეადგენს 1,444,451.32 ათას ლარს. სულ გადახდილი თანხა 99,988.88 ათასი ლარია. სასესხო დავალიანება შეადგენს - 154,034.05 ათას ლარს. აქედან:

- ძირითადი თანხა - 60,506.87 ათასი ლარი;
- გადასახდელი პროცენტის თანხა - 24,919.72 ათასი ლარი;
- ჯარიმა - 68,607.46 ათასი ლარი.

უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან 2010 წლის განმავლობაში სულ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა 29,863.85 ათასი ლარი.<sup>7</sup> გარდა ამისა:

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №840 განკარგულებით, ს/ს „თბილსრესს“ ჩამოეწერა 32,252.53 ათასი ლარი, როგორც უიმედო სასესხო დავალიანება;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №1195 განკარგულებით, შპს

<sup>6</sup> დარღვეულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების მოთხოვნები

<sup>7</sup> დარღვეულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. სახსრებს, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო საგარეო ვალებიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილია საინვესტიციო პროექტების ან საქონლის იმპორტის დასაფინანსებლად, ეკონომიკური აგენტები და საფინანსო დაწესებულებები საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად აუცილებლად უბრუნებენ სამინისტროს. ხოლო სამინისტროს დაბრუნების უზრუნველსაყოფად უფლება აქვს მიიღოს ყველა, კანონით განსაზღვრული, აუცილებელი ზომა.

„საქენერგო 2000“-ს ჩამოეწერა 88,241.21 ათასი ლარი, როგორც უიმედო სასესხო დავალიანება;

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №1729 განკარგულებით, დავალიანებები ეპატიათ შემდეგ მუნიციპალიტეტებს:
  - ქ. ბათუმის - 4,990.93 ათასი ლარი;
  - ქ. ფოთის - 2,152.74 ათასი ლარი;
  - ქ. ქუთაისის - 901.43 ათასი ლარი;
  - ქ. თელავის - 444.18 ათასი ლარი;
  - ქ. ზუგდიდის - 457.08 ათასი ლარი;
  - ქ. სენაკის - 351.60 ათასი ლარი;
  - ქ. ჭიათურის - 176.10 ათასი ლარი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას შორის 2010 წლის 08 სექტემბერს გაფორმდა მორიგების აქტი №24 (ურთიერთვალდებულებათა შეწყვეტის თაობაზე), რომლის შესაბამისად და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყდა მათ შორის აღებული ვალდებულებები, რაც შეადგენდა 27,295.79 ათას ლარს.

საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებებისათვის (ორგანიზაციული კოდი 53 03) გათვალისწინებული 4,307.4 ათასი ლარიდან გაწეულია 4,151.61 ათასი ლარის ხარჯი (დაზუსტებული გეგმის 96.4%).

#### აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაცია

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტმა, სახელმწიფო საშინაო ვალის მართვის სრულყოფის მიზნით, მიმართოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, რათა ვალის თითოეული კატეგორიის მიმართ შემუშავებული იქნეს ანაზღაურების მექანიზმი;
- სახაზინო სამსახურის ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტმა სახელმწიფო ვალის რეესტრი აწარმოოს სახელმწიფო ვალის რეესტრის წარმოებისა და სახელმწიფო გარანტიების რეესტრის წარმოების შესახებ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიცვას „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა თავიდან აიცილოს საგარეო და საშინაო საკრედიტო რესურსებიდან გაცემული სესხების სახელმწიფო ბიუჯეტში დაუბრუნებლობა და უიმედო ვალების წარმოშობა.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი

ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის  
დავების განმხილველ საბჭოში. ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N 96 .

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები


ფრიდონ დონაძე

თამარ ბროლაძე

ნინო ამირანაშვილი

პაპუნა ხოფერია

გიორგი მეტრეველი



აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და  
ნორმატიული აქტები

აუდიტის პერიოდში ფინანსთა მინისტრად მუშაობდა

კახა ბაინდურაშვილი

აუდიტის პერიოდში სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსად მუშაობდა

გიორგი ცხაკაია

ფინანსური აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ

ცოტნე ყავლაშვილი - საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნინო მჭედლიშვილი - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

მარინა ზარქუა - საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

რამაზ ნონიკაშვილი - ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო  
სამმართველოს უფროსი;

მაია გაგნიძე - ცენტრალური აპარატის საფინანსო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი.

მარინა ხანიშვილი - სახაზინო სამსახურის საფინანსო სამეურნეო სამმართველოს უფროსი;

ნონა მჭედლიშვილი - სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ ადმინისტრაციული  
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ბუღალტერი;

მალხაზ ლომთაძე - სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის  
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

მაია ოშიაძე - სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის საფინანსო  
სამმართველოს უფროსი;

ეკატერინე ძნელაძე - სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის საფინანსო  
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

თეიმურაზ შავდია - სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის სამეურნეო  
სამმართველოს უფროსი

სოსო აღხანაშვილი - სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატის სამეურნეო  
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ.“
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილება- „2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილებებით).
- საქართველოს კანონი „2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.“ №2235-რს 4 დეკემბერი 2009 წელი და მასში განხორციელებული ცვლილებები.
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება;
- საქართველოს კანონის - „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესრულების ანგარიშები;
- საქართველოს კანონი - „სახელმწიფო ვალის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.“ 28 დეკემბერი 2007 წელი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №364 „სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშების ფორმების დამტკიცების შესახებ“ - 16 აპრილი 2008 წელი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანება - „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. 12 თებერვალი 2008 წელი;
- „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის № 340 ბრძანება;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები.

# დანართები

## დანართი 1

### კონსოლიდირებული საბიუჯეტო ხარჯები

(ათას ლარებში)

| ხარჯები                                                 | დაზუსტებული<br>გეგმა | საკასო<br>ხარჯი | ფაქტური<br>ხარჯი |
|---------------------------------------------------------|----------------------|-----------------|------------------|
| სულ საბიუჯეტო ხარჯები                                   | 103,095.7            | 100,156         | 115,479.44       |
| შრომის ანაზღაურება                                      | 62,449.69            | 61,072.94       | 61,072.82        |
| თანამდებობრივი სარგო                                    |                      | 41,856.63       | 41,856.63        |
| წოდებრივი სარგო                                         |                      | 220.46          | 220.40           |
| პრემია                                                  |                      | 18,417.17       | 18,417.17        |
| დანამატი                                                |                      | 150.83          | 150.83           |
| კომპენსაცია                                             |                      | 427.86          | 427.80           |
| საქონელი და მომსახურება                                 | 36,933.82            | 35,806.30       | 38,465.48        |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება                       |                      | 469.48          | 469.48           |
| მიწვლილებები                                            |                      | 1,088.14        | 1,034.95         |
| ოფისის ხარჯები                                          |                      | 9,854.43        | 15,094.73        |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                               |                      | 264.37          | 265.49           |
| კვების ხარჯები                                          |                      | 1.21            | 1.21             |
| სამედიცინო ხარჯები                                      |                      | 4.20            | 5.54             |
| რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების |                      | 1,467.27        | 521.93           |
| ტრანსპორტისა, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და    |                      | 6,577.70        | 6,849.49         |
| სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები      |                      | 0.33            | 0.33             |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება                  |                      | 16,079.18       | 14,222.33        |
| მირითადი კაპიტალის მოხმარება                            | -                    | -               | 12,455.51        |
| სუბსიდიები                                              | 9.67                 | 9.67            | 9.68             |
| გრანტები                                                | 623.07               | 622.08          | 757.22           |
| გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს                   |                      | 552.36          | 552.36           |
| გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს                     |                      | 69.72           | 69.72            |
| გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს                |                      | -               | 135.15           |
| დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება          | 910.51               | 814.20          | 813.68           |
| სხვა ხარჯები                                            | 2,168.94             | 1,830.81        | 1,905.05         |

დანართი 2

კონსოლიდირებული ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ  
(ათას ლარებში)

| არაფინანსური აქტივები                 | დაზუსტებული<br>გეგმა | საკასო<br>ხარჯი  |
|---------------------------------------|----------------------|------------------|
| <b>სულ არაფინანსური აქტივები</b>      | <b>66,881.47</b>     | <b>65,901.82</b> |
| შენობა-ნაგებობები                     |                      | 55,471.15        |
| არასაცხოვრებელი შენობები              |                      | 54,892.64        |
| სხვა ნაგებობები                       |                      | 578.52           |
| მანქანა-დანადგარები                   |                      | 9,734.23         |
| სატრანსპორტო საშუალებები              |                      | 902.20           |
| სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი |                      | 8,832.03         |
| სხვა ძირითადი აქტივები                |                      | 696.41           |
| კულვიტირებული აქტივები                |                      | 1.95             |
| ლიცენზიები                            |                      | 80.17            |
| სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები |                      | 614.28           |
| არაწარმოებული აქტივები                |                      | 0.03             |
| მიწა                                  |                      | 0.03             |

დანართი 3

კონსოლიდირებული ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო  
ოპერაციების შესახებ  
(ათას ლარებში)

| ფინანსური აქტივები/ვალდებულებები | დაზუსტებული<br>გეგმა | საკასო<br>ხარჯი |
|----------------------------------|----------------------|-----------------|
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>    | <b>200</b>           | <b>200</b>      |
| საშინაო                          | 200                  | 200             |
| აქციები და სხვა კაპიტალი         | 200                  | 200             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>         | <b>248.70</b>        | <b>247.32</b>   |
| საშინაო                          | 248.70               | 247.32          |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები   | 248.70               | 247.32          |

დანართი 4

საბიუჯეტო ხარჯები (სამინისტროს ცენტრალური აპარატი)

(ათას ლარებში)

| დასახელება                                              | დაზუსტებული<br>გეგმა | საკასო<br>ხარჯი  | ფაქტიური<br>ხარჯი |
|---------------------------------------------------------|----------------------|------------------|-------------------|
| <b>სულ ხარჯები</b>                                      | <b>32,633.91</b>     | <b>32,110.67</b> | <b>20,821.46</b>  |
| შრომის ანაზღაურება                                      |                      | 5,687.19         | 5,687.19          |
| თანამდებობრივი სარგო                                    |                      | 3,663.27         | 3,663.27          |
| პრემია                                                  |                      | 1,877.89         | 1,877.89          |
| დანამატი                                                |                      | 146.03           | 146.03            |
| <b>საქონელი და მომსახურება</b>                          |                      | <b>25,243.37</b> | <b>10,556.01</b>  |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება                       |                      | 67.62            | 67.62             |
| მივლინებები                                             |                      | 303.24           | 293.24            |
| ოფისის ხარჯები                                          |                      | 6,305.34         | 4,743.33          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                               |                      | 111.79           | 113.19            |
| რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების |                      | 72.76            | 5.64              |
| ტრანსპორტისა, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და    |                      | 6,482.58         | 2,066.27          |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება                  |                      | 11,900.04        | 3,266.71          |
| <b>ძირითადი კაპიტალის მოხმარება</b>                     |                      | <b>-</b>         | <b>3,323.67</b>   |
| <b>გრანტები</b>                                         |                      | <b>552.36</b>    | <b>552.36</b>     |
| მიმდინარე                                               |                      | 552.36           | 552.36            |
| <b>დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება</b>   |                      | <b>56.78</b>     | <b>56.78</b>      |
| ფულადი ფორმით                                           |                      | 56.78            | 56.78             |
| <b>სხვა ხარჯები</b>                                     |                      | <b>570.97</b>    | <b>645.45</b>     |
| მიმდინარე                                               |                      | 570.97           | 572.11            |
| კაპიტალური                                              |                      | -                | 73.34             |
| <b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>                  | <b>59,716.79</b>     | <b>58,946.54</b> |                   |
| <b>შენობა-ნაგებობები</b>                                |                      | <b>54,576.06</b> |                   |
| არასაცხოვრებელი შენობები                                |                      | 54,569.57        |                   |
| სხვა ნაგებობები                                         |                      | 6.49             |                   |
| <b>მანქანა-დანადგარები</b>                              |                      | <b>3,889.24</b>  |                   |
| სატრანსპორტო საშუალებები                                |                      | 703.43           |                   |
| სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                   |                      | 3,185.81         |                   |
| <b>სხვა ძირითადი აქტივები</b>                           |                      | <b>481.21</b>    |                   |
| კულტივირებული აქტივები                                  |                      | 1.95             |                   |
| არამატერიალური ძირითადი აქტივები                        |                      | 479.26           |                   |
| <b>არაწარმოებული აქტივები</b>                           |                      | <b>0.03</b>      |                   |
| მიწა                                                    |                      | 0.03             |                   |
| <b>სულ ვალდებულებების კლება</b>                         | <b>35.827</b>        | <b>35.826</b>    |                   |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები                          |                      | 35.826           |                   |

დანართი 5

კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება

(ათას ლარებში)

|                                                                             | 2009           | 2010           |
|-----------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                                             |                |                |
| ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები                         |                |                |
| ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში                                        | 1.97           | 19.47          |
| საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში                                | 622.37         | 3,615.18       |
| დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში                                        | 14.2           | 6.72           |
| სხვა ანგარიშები ხაზინაში                                                    | 106.48         | 106.48         |
| სხვა ფინანსური აქტივები                                                     | 31,929.26      | 16,151.76      |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან                                    | 12,963.59      | 5,120.4        |
| მოთხოვნები მივლინებით                                                       | 49.28          | 101.28         |
| მოთხოვნები დანაკლისებით                                                     | 691.17         | 682.24         |
| ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები                             | 70.35          | 69.22          |
| ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან                            | 60.81          | 0.02           |
| <b>გადარიცხული თანხით</b>                                                   |                |                |
| გადახდილი დღგ                                                               | 1,028.97       | 0.33           |
| სხვა საგადასახადო აქტივი                                                    | 0.58           | 88.48          |
| მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით                                        | -              | 0.69           |
| სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები                                     | -              | 33.37          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები</b>              | <b>47,539</b>  | <b>25,996</b>  |
| <b>არაფინანსური აქტივები</b>                                                |                |                |
| შენობა-ნაგებობები                                                           | 50,768.19      | 82,650.62      |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                            | 40,846.07      | 53,489.03      |
| დაუმთავრებელი მშენებლობა                                                    | 7,974.82       | 45,078.63      |
| სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები                                            | 2,766.83       | 3,688.44       |
| სხვა მატერიალური მარაგები                                                   | 5,787.81       | 9,209.63       |
| ფასეულობები                                                                 | 1.05           | 1.05           |
| არაწარმოებული აქტივები                                                      | 3,723.2        | 9,916.45       |
| <b>სულ არაფინანსური აქტივები</b>                                            | <b>111,868</b> | <b>204,034</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                                         | <b>159,407</b> | <b>230,029</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>                                            |                |                |
| ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები                   |                |                |
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან                                 | 618.19         | 842.61         |
| გადასახდელი მოგების გადასახადი                                              | 18.43          | 646.53         |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი                                          | 615.35         | 612.94         |
| გადასახდელი დღგ                                                             | -              | 161.04         |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები                                          | 1,832.83       | 1,605.36       |
| გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის                                 | 3,639.76       | 3,501.71       |
| გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის                             | 0.9            | -              |
| ვალდებულებები მივლინებით                                                    | 255.17         | 246.98         |
| სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების                                |                |                |
| გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები | 0.74           | 0.74           |
| ვალდებულებები დეპონენტების მიმართ                                           | 4.73           | 4.73           |
| ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით                           | 3.29           | 35.39          |
| გადასახდელი პროცენტები                                                      | 8,390.23       | 6,463.01       |
| გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები                              | 0.09           | 0.85           |

სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები  
 სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული  
 დავალიანებები

|        |        |
|--------|--------|
| 4.32   | 4.48   |
| 15,384 | 14,126 |

კაპიტალი  
 წმინდა ღირებულება  
 გაუნაწილებელი მოგება  
 სულ კაპიტალი

|            |            |
|------------|------------|
| 143,689.91 | 211,575.52 |
| 333.05     | 4,327.59   |
| 144,023    | 215,903    |

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

|         |         |
|---------|---------|
| 159,407 | 230,029 |
|---------|---------|

დანართი 6

კონსოლიდირებული ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

(ათას ლარებში)

|                                           |                   |
|-------------------------------------------|-------------------|
| <b>საწყისი ნაშთი 1-იანვარი-2010</b>       | <b>143,689.91</b> |
| <b>ზრდა</b>                               |                   |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება           | 166,505.14        |
| აქტივების უსასყიდლოდ მიღება               | 123,370.12        |
| მ.შ. ძირითადი აქტივები                    | 101,110.55        |
| მატერიალური მარაგები                      | 14,445.40         |
| არაწარმოებული აქტივები                    | 7,614.17          |
| სხვა ფინანსური აქტივები                   | 200.00            |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები                 | 18,921.58         |
| მ.შ. აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები | 18,921.58         |
| <b>კლება</b>                              |                   |
| სულ ხარჯები                               | 115,479.44        |
| მ.შ. შრომის ანაზღაურება                   | 61,072.82         |
| საქონელი და მომსახურება                   | 38,465.48         |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება              | 12,455.51         |
| სუბსიდიები                                | 9.68              |
| გრანტები                                  | 757.22            |
| სოციალური დახმარება                       | 813.68            |
| სხვა ხარჯები                              | 1,905.05          |
| აქტივების უსასყიდლოდ გაცემა               | 99,506.40         |
| მ.შ. ძირითადი აქტივები                    | 82,826.04         |
| მატერიალური მარაგები                      | 14,207.20         |
| არაწარმოებული აქტივები                    | 1,852.49          |
| სხვა ფინანსური აქტივები                   | 620.67            |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები                 | 12,150.88         |
| მ.შ. აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები | 12,150.88         |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები        | 13,774.50         |
| <b>საბოლოო ნაშთი 1-იანვარი-2011</b>       | <b>211,575.53</b> |

დანართი 7

არაფინანსური აქტივების მოძრაობა (სამინისტროს ცენტრალური აპარატი)

(ათას ლარებში)

|                                  | საცხოვრებელი<br>შენიშვნები | არასაცხოვრებელი<br>შენიშვნები | სხვა ნაგებობები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა მანქანა-<br>დანადგარები და<br>მოწყობილობები | კულტივირებული<br>აქტივები | არამატერიალური<br>ძირითადი<br>აქტივები | დაუმთავრებელი<br>შენიშვნები | სხვა დანარჩენი<br>ძირითადი<br>აქტივები | მიწა      | სულ         |
|----------------------------------|----------------------------|-------------------------------|-----------------|-----------------------------|--------------------------------------------------|---------------------------|----------------------------------------|-----------------------------|----------------------------------------|-----------|-------------|
| საწყისი<br>ნაშთი<br>1/01/2010    | 269.46                     | 27,618.99                     | 5.28            | 926.30                      | 6,064.24                                         | -                         | 2,699.33                               | 7,974.82                    | 1.62                                   | 3,326.90  | 48,886.94   |
| ზრდა                             |                            |                               |                 |                             |                                                  |                           |                                        |                             |                                        |           |             |
| შესყიდვა                         | -                          | 15,890.34                     | -               | 2,692.60                    | 4,869.22                                         | 1.95                      | 937.21                                 | 54,289.57                   | -                                      | 2.00      | 78,682.89   |
| დასყიდვით<br>და გადმოცემა        | -                          | 76.31                         | -               | 827.09                      | 8,496.43                                         | -                         | 16.86                                  | 85.76                       | -                                      | 5,324.58  | 14,827.03   |
| სხვა ეკ.<br>ნაკადები<br>(მიღება) | -                          | 14,706.36                     | 3.00            | 26.85                       | 56.30                                            | -                         | -                                      | -                           | -                                      | 3,716.54  | 18,509.05   |
| დანაკლისის<br>აღდგენა            | -                          | -                             | -               | -                           | 6.19                                             | -                         | -                                      | -                           | -                                      | -         | 6.19        |
| კლება                            |                            |                               |                 |                             |                                                  |                           |                                        |                             |                                        |           |             |
| უსასყიდვო<br>და გადაცემა         | (242.24)                   | (28,730.46)                   | (0.20)          | (2,367.05)                  | (4,423.70)                                       | (1.95)                    | (68.09)                                | (1,444.12)                  | -                                      | (784.51)  | (38,062.32) |
| სხვა ეკ.<br>ნაკადები<br>(გასვლა) | -                          | (8,486.09)                    | -               | (609.44)                    | (3.42)                                           | -                         | -                                      | (15,827.41)                 | -                                      | (3,255.4) | (28,181.76) |
| გასვლა<br>დანაკლისით             | -                          | -                             | -               | -                           | (1.42)                                           | -                         | -                                      | -                           | -                                      | -         | (1.42)      |
| ცვლილება                         | (0.63)                     | (228.66)                      | (1.79)          | (205.30)                    | (2,486.81)                                       | -                         | (400.49)                               | -                           | -                                      | -         | (3,323.68)  |
| ბოლოო<br>ნაშთი<br>1/01/2011      | 26.59                      | 20,846.79                     | 6.29            | 1,291.05                    | 12,577.03                                        | -                         | 3,184.82                               | 45,078.62                   | 1.62                                   | 8,330.11  | 91,342.92   |

არაფინანსური აქტივების მოძრაობა (სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცენტრალური აპარატი)  
(ათას ლარებში)

|                               | არასაცხოვრებელი<br>შენიშვნები | სხვა ნაგებობები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა მანქანა-<br>დანადგარები და<br>მოწყობილობები | პულტივაციური<br>აქტივები | არამატერიალური<br>ძირითადი აქტივები | მიწა     | სულ       |
|-------------------------------|-------------------------------|-----------------|-----------------------------|--------------------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|----------|-----------|
| საწყისი ნაშთი<br>1/01/2010    | 1,129.84                      | 183.51          | 6,831.78                    | 1,898.73                                         | -                        | 33.70                               | 185.23   | 10,262.79 |
| ზრდა                          |                               |                 |                             |                                                  |                          |                                     |          |           |
| შესყიდვა                      | 1,179.54                      | 572.03          | 198.77                      | 2,015.17                                         |                          | 269.93                              |          | 4,235.44  |
| უსასყიდლოდ<br>გადმოცემა       | 34,222.52                     | 333.23          | 650.62                      | 2,755.04                                         | 1.8                      | 0.19                                | 919.46   | 38,882.86 |
| სხვა ეკ. ნაკადები<br>(მიღება) | 31.57                         |                 | 109.9                       |                                                  |                          |                                     |          | 141.47    |
| კლება                         |                               |                 |                             |                                                  |                          |                                     |          |           |
| უსასყიდლოდ<br>გადაცემა        | 32,369.88                     | 995.64          | 6,034.18                    | 4,239.47                                         |                          | 13.33                               | 1,067.99 | 44,720.49 |
| სხვა ეკ. ნაკადები<br>(გასვლა) |                               |                 | 77.37                       |                                                  |                          |                                     | 31.57    | 108.94    |
| ცვეთა                         | 2.05                          | 6.24            | 251.01                      | 444.96                                           |                          | 59.83                               |          | 764.09    |
| საბოლოო ნაშთი<br>1/01/2011    | 4,191.54                      | 86.89           | 1,428.51                    | 1,984.52                                         | 1.8                      | 230.66                              | 5.14     | 7,929.04  |